

პირადი ჩხრეკა გაშიშვლებით - უსაფრთხოების ზომა თუ სახელმწიფოს მიერ სანქცირებული ძალადობა?

პირადი ჩხრეკა / დათვალიერება პირის ნაწილობრივ ან/და სრულად გაშიშვლებით იდეურად საგამოძიებო მოქმედების სრულყოფილად ჩატარებას უნდა ემსახურებიდეს, თუმცა მისი ხშირი არამიზანმიმართული გამოყენება და განსაკუთრებით ქალებსა და მოწყვლად ჯგუფებზე მისი დამაზიანებელი ეფექტი აჩვენებს, რომ ხშირ შემთხვევაში, ჩხრეკა გაშიშვლებით სახელმწიფოს მიერ სანქცირებული ძალადობის ინსტრუმენტს წარმოადგენს. ამ კონტექსტში, ინსტიტუციური უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და ადამიანის ღირსების პატივისცემის დაბალანსება კრიტიკულ გამოწვევად რჩება.

სფეროს მკვლევრები და ქალთა უფლებადამცველები პირად ჩხრეკა/დათვალიერებას სრულად გაშიშვლებით აფასებენ სახელმწიფოსგან სანქცირებული სექსუალური ძალადობის ფორმად[1], რადგან დაკავებული პირები იძულებულნი არიან ტანსაცმელი სრულად გაიხადონ და საკუთარი შიშველი სხეული იმგვარი ფორმით წარმოაჩინონ, რაც სახელმწიფოს მიერ სანქცირებული კონტექსტის მიღმა სექსუალურ ძალადობად

[1] Katherine Hill, Strip searching is state-sanctioned sexual violence, February 3, 2023, available at https://ctmirror.org/2023/02/03/strip-searching-state-sanctioned-sexual-violence/

იქნებოდა მიჩნეული. გაშიშვლებით ჩხრეკა განსაკუთრებით დამაზიანებელია იმ ქალებისთვის, რომლებიც წარსულში იყვნენ სექსუალური ძალადობის მსხვერპლები. ამგვარმა გამოცდილებამ შესაძლოა გაამწვავოს მათი ტრავმები და ხელახალი ტრავმირებაც კი გამოიწვიოს.

გაშიშვლებით ჩხრეკის იძულებითი ხასიათი ლახავს ადამიანის ღირსებას და ნების ავტონომიას, რაც გენდერული ძალადობის არსებითი ასპექტია. როდესაც პირი იძულებულია გაშიშვლდეს თავისი ნების საწინააღმდეგოდ, თანხმობის ელემენტი სრულიად ქრება. პროცესში სახელმწიფო აქტორების ჩართულობა აძლიერებს ძალთა დისბალანსს, ხოლო სრულად გაშიშვლებაზე უარის თქმის შესაძლებლობის არარსებობა კიდევ უფრო ასუსტებს დაკავებულის ნების თავისუფლებას. საკუთარ სხეულზე კონტროლის დაკარგვა კი გენდერული ძალადობის ფუნდამენტურ მახასიათებლად რჩება, რაც დაკავებულის დამორჩილებასა და მასზე დომინირების მექანიზმს ქმნის. სწორედ ამ ფაქტორების - იძულების, თანხმობის არარსებობის, კონტროლისა და ღირსების შელახვის - შეჯერებით, გაშიშვლებით ჩხრეკა გენდერული ძალადობის ერთ-ერთ ფორმად წარმოჩნდება.[2]

პირადი ჩხრეკა/დათვალიერება სრულად გაშიშვლებით, ხშირ შემთხვევაში, გამოიყენება არა უსაფრთხოების ლეგიტიმური მიზნებისთვის, არამედ სამართალდამცავების მხრიდან ძალის დემონსტრიტების, დაკავებულების, მაშ შორის, ქალების დასჯის, მათზე კონტროლის დამყარებისა და დამცირების მიზნით. სწორედ ამიტომ არის, რომ ჩხრეკის ამგვარ პრაქტიკას სახელმწიფოსგან სანქცირებულ ძალადობას უწოდებენ, რომელიც შექმნილია ადამიანების შეურაცხყოფისა და დამცირებისთვის.

სხვადასხვა ქვეყნებში უფლებადამცველები გაშიშვლებით ჩხრეკის სრულად აკრძალვის ინიციატივით გამოდიან, რადგან მიიჩნევენ, რომ ჩხრეკის/დათვალიერების ამგვარი ფორმა ხელყოფს ადამიანის ღირსებას, წარმოადგენს არაეფექტურ, არააუცილებელ და არაჰუმანურ პრაქტიკას, რომელიც რეალურად ვერ აფერხებს აკრძალული ნივთების მოხვედრას თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში.[3]

---

[2] Latty, S. (2024). Discourses of Disavowal: Gendered Anti-Blackness in State and Media Strip-Search Archives. Atlantis, 45(2), 4–19. Available at https://doi.org/10.7202/1114707ar

[3] Calls to abolish the strip searching of people in prisons, Human Rights Law Center, 24 May 2024. Availabe at https://www.hrlc.org.au/news/2024/05/24/strip-searching

ჩატარებული კვლევები ნათლად აჩვენებს, რომ გაშიშვლებით ჩხრეკა მართლაც არაეფექტურია აკრძალული ნივთების აღმოსაჩენად. მაგალითად, კანადაში ჩატარებული კვლევის თანახმად, 2009 წლიდან 2017 წლამდე პერიოდში 8 წლის განმავლობაში, 6 ფედერალურ ციხეში ჩატარებული ჩხრეკების შედეგად სულ 76 ნივთი იქნა აღმოჩენილი. აღსანიშნავია, რომ აკრძალული ნივთების სიაში იყო საჭმელი და თამბაქოც.[4] სწორედ ამიტომ, უფლებადამცველები მთავრობებს ისეთი ალტერნატივების გამოყენებისკენ მოუწოდებენ, როგორიც, მაგალითად აეროპორტებში გამოყენებული სკანერებია.

ამგვარად, გაშიშვლებით ჩხრეკა წარმოადგენს არა მხოლოდ უსაფრთხოების ზომას, არამედ სახელმწიფოს მიერ სანქცირებულ ძალადობას, რომელიც ხშირად გამოიყენება ძალაუფლების დემონსტრაციის, დაკავებული დამცირებისა და მასზე კონტროლის დამყარების მიზნით. ეს პრაქტიკა არამხოლოდ არაეფექტურია, არამედ ქმნის სერიოზულ პრობლემებს, განსაკუთრებით ქალებისთვის და მოწყვლადი ჯგუფებისთვის. აუცილებელია, რომ სახელმწიფოებმა იპოვონ ეფექტური, ჰუმანური და არაინვაზიური ალტერნატივები, რომლებიც არ ხელყოფენ ადამიანის ღირსებას და მის ფუნდამენტურ უფლებებს.

[4] Jessica Hutchison, The Gendered, Misogynoiristic, and Colonial Genocidal Logics of Strip Searching, Affilia: Feminist Inquiry in Social Work, 1-19, November 2024.